



სსიპ ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

26 11 2015 წ.

ბრძანება № 2-260

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლებაში სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტურის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში, 2015 წლის 28 ნოემბერს სამოქალაქო განათლებაში დანიშნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი შესარჩევი ტურის ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ შემდეგი პირები:
 - 1.1. ნინო კავთელიშვილი სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის ინფორმაციული მენეჯერი (კოორდინატორი);
 - 1.2. მაკა გაბუნია სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი (ასისტენტი);
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კოორდინატორს დაევალოს გამოცდებამდე (27 ნოემბერს) და შემდგომ სამოქალაქო განათლებაში დანიშნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი შესარჩევი ტურის ჩასატარებლად უზრუნველყოს სასწავლო ოლიმპიადისთვის საჭირო გარემოს შექმნა სკოლაში, კერძოდ:
 - 2.1 ტესტირების ოთახის მომზადება;
 - 2.2 მოსწავლეების ტესტირებაზე შეშვება ე.წ „კონვეიერის“ რეჟიმში;
 - 2.3 პრეტესტის და ტესტირების ჩატარება გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ინსტრუქციების მიხედვით;
 - 2.4 მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება ტესტირების დროისა და ადგილის შესახებ;
 - 2.5 ტესტირებისათვის აუცილებელი ობიექტური გარემოს შექმნა, სადაც თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე იმუშავებს ტესტზე;
 - 2.6 მოსწავლეებისათვის ტესტირებაზე ქვევის წესების გაცნობა და პასუხების მონიშვნის ინსტრუქციის ახსნა.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ასისტენტს დაევალოს ტესტირების პროცესისათვის მეთვალყურეობა და კოორდინატორისათვის მოსწავლეთა ნაკადების დარეგულირებაში დახმარების გაწევა;

- 4. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
- 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო
სკოლის დირექტორი:



Handwritten signature in blue ink.

/ელზა ბადაშვილი/